15/04/2026

MES 3 26 0000434478

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.03.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 15:10
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I და II საკითხებზე)
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (III, IV, V და VI საკითხებზე)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ლევან შავაძე - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევან აფთარაშვილი - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების

მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟა კელიხაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. თეა მჭედლური - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. ვლადიმერ ადეიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ციური დურული - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. ქეთევან ნანობაშვილი - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. მაქსიმ იავიჩი - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
11. მზია წიკლაური - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. ბონდო გასვიანი - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

1. ქეთევან პავლიაშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
2. ლალი ოდიშვილი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1. ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

2. გაიოზ ფარცხალაძე - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;
3. ალეკო კალანდია - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მერაბ არძენაძე - აკადემიური დოქტორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. გოჩა ჩავლეშვილი - პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1. გია ჟორჟოლიანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
2. მარინა მუსხელიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
3. თამარ დოლბაია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. ნინო ქიმერიძე - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1. თეა კორძაძე - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. თენგიზ კუპრაშვილი- ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ნანა შონია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
4. აზა იფშირაძე - ""საჯარო მმართველობის"" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
5. ნანა რუსაძე - ""საჯარო მმართველობის"" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
6. ხათუნა შალამბერიძე - „ბიზნესის ადმინისტრირების"" (3 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

დავიდ ი სიდ დუენიასი (David i Cid Dueñas) - II საკითხი
ილია ბოცვაძე - II საკითხი
ნათია გეგელაშვილი - II საკითხი
ნიკოლოზ ფარსადანიშვილი - III საკითხი
თინათინ ზერაგია - IV, V და VI საკითხები

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის პირველ და მეორე საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ. დღის წესრიგით განსაზღვრულ მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხებზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ქეთევან აფთარაშვილმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (3 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (4 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტენოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან პავლიაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტის მომართვის საფუძველზე. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის საკითხი აკრედიტაციის საბჭოს განეხილა შემდეგ სხდომაზე, 2026 წლის 31 მარტს. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა დააყენა შუამდგომლობა "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების და კვალიფიკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, დაკორექტირდა პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების 2026 წლის 21 იანვრის N47122 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (3 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (4 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების 2026 წლის 21 იანვრის N47122 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადა თეა მჭედლურმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ აკრედიატციის საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრიდიტაცია. თუმცა, მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. დაწესებულების მიერ შიდა დონეზე განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულების წარმომადგენელა სთხოვა საბჭოს, დამატებით განეხილათ აღნიშნული საკითხი, რათა გადაწყვეტილების მიხედვით განსაზღვრულიყო სწორი კვალიფიკაცია.
კერძოდ, დაკორექტირდა პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე შემდეგი სახით:
• პროგრამის სახელწოდება: ნაცვლად "სასურსათო ტექნოლოგიისა", განისაზღვრა - "სურსათის ტექნოლოგია";
• მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ ენაზე): ნაცვლად "სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრისა", განისაზღვრა - "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში";
• მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ინგლისურ ენაზე): ნაცვლად "Bachelor of Food Technology", განისაზღვრა - "Bachelor in Food Technology".

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის თანახმად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სასურსათო ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №47122, 21/01/2026 გადაწყვეტილების დანართში.
კერძოდ, დანართის პირველი ნაწილში ნაცვლად „"სასურსათო ტექნოლოგიისა", განისაზღვროს - "სურსათის ტექნოლოგია", ხოლო მე-9 ნაწილში ნაცვლად "სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრისა", განისაზღვროს - "ბაკალავრი სურსათის ტექნოლოგიაში".

მე-2 საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, არაკლასიფიცირებული
კრედიტი - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადა ქეთევან აფთარაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა დავიდ ი სიდ დუენიასი (David i Cid Dueñas) შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

თამარ დოლბაიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარადგინა მტკიცებულებები, რეკომენდაცია მაინც გაიცა. მისი თქმით, აპრილ-მაისის პერიოდში ტარდება ხოლმე ტრენინგები სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზის შესახებ, თუმცა მოწვეული და ახალგაზრდა პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოების შესახებ ინფორმირება უკეთესად მოხდება და ეს საკითხი ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოიფხვრება. მისი თქმით, ეტაპობრივად მიმდინარებს ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება. კომპიუტერები და ჭკვიანი დაფები ბევრ აუდიტორიაშია. ასევე, უნივერსიტეტი დაეთანხმა უცხო ენის სავალდებულოდ გახდომას. ქართულ ენასთან მიმართებით, უნივერსიტეტმა სექტემბერში განახორციელა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ქართულა ენა აკადემიური მიზნებისთვის" კურსი შემოდგომის სემესტრშია გათვალისწინებული, თუმცა ამ ცვლილების წარდგენა ვერ მოხერხდა სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენისას - აგვისტოში. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში განხორციელდება ცვლილება და პროგრამაში დაემატება „ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის" და ინგლისური ენის კურსი გახდება სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ დაუსვამთ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (2028 წლის 31 დეკემბრამდე) 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

მე-3 საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - საჯარო მმართველობა
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საჯარო მმართველობის მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მე-3 საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ნიკოლოზ ფარსადანიშვილმა დამსწრეებს გააცნო რეკომენდაციების შესრულების დასკვნაში მოყვანილი გარემოებები და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:38
დასრულების დრო: 14:45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 - ე მუხლის მე - 21 - მე-211 პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4, მე-5 და მე-6 საკითხები განხილულიყო ერთად.
საბჭოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ შუამდგომლობას.

მე-4 საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - 120

მე-5 საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (3 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება (180 კრედიტი)
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - 180

მე-6 საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (4 წლიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტი - 240

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოს სხდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, შესაბამის დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მე-4, მე-5 და მე-6 საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, თინათინ ზერაგიამ აღნიშნა, რომ სამივე პროგრამის თვითშეფასებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისას კრიტიკული საკითხები არ გამოკვეთილა. მხოლოდ და მხოლოდ მეორე რეკომენდაციის შემთხვევაში გამოიკვეთა ტექნიკური უზუსტობა თავისუფალი კურსების შესახებ ტექნიკური ინფორმაციის შესწორებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კრედიტების მითითებასა და მოდულის სახელწოდების ცვლილებას. მემორანდუმების განახლებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა გააფორმა ახალი მემორანდუმი „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთან".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 15:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2^1 - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე - 2^1 - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2[1] - მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:10 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე